




კორპორატიული ჯანმრთელობისა დაზღვევის პირობები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და მის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებისთვის, აგრეთვე სამინისტროს მართვაში მყოფ შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრისა“, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ თანამშრომლებისთვის

2017


ჯიპიანი ჰოლდინგის ზრდა სადაზღვევო ბაზარზე



თანხა მოცემულია ლარებში


2014 წლის მოზიდული პრემია შემცირდა სახელმწიფო სოციალური პროექტის შემცირების გამო

ანაზღაურებული ზარალი




თანხა მოცემულია ლარებში

ჯიპიანი ჰოლდინგის წილი სადაზღვევო ბაზარზე



ჯიპიანი ჰოლდინგის 2015 წლის სადაზღვევო პორტფელი



- ▲ 15 წელი საქართველოს საფულავი ჰოლდინგის გახარება
- ▲ ჰენის საფულავი ჰოლდინგის წევრი 2006 წლიდან
- ▲ საფულავი ჰოლდინგის წილი 2015 - 20%
- ▲ საწესდებო კაპიტალი - 12 232 100 ლარი
- ▲ მოზიდული კრედიტი (2015) - 70 634 408 ლარი
- ▲ ანაზღაურებული ზარალი (2015) - 49 338 715 ლარი
- ▲ 17 სააპარტმენტო საქართველოს 16 რეგიონში
- ▲ 210 000-მდე დაფულავი ჰენის მფლობელების დაფულავის მიმართულებით

ჯიპიაი ჰოლდინგის კლიენტები

- ▲ შინაგან საქმეთა სამინისტრო
- ▲ CBD Development (ისტ ზონით)
- ▲ აფშ-ის საქართველო
- ▲ GIZ
- ▲ TOYOTA - კავკასია
- ▲ TAV ურბან ჯორჯია
- ▲ თბილისის მერია
- ▲ სოციალური მომსახურების სააგენტო
- ▲ სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- ▲ იუსტიციის სამინისტრო
- ▲ საქართველოს ფოსტა
- ▲ აიდეის გორჯოში
- ▲ საქ. შრომის ჰენის მფლობელისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- ▲ ენერჯი-პრო ჯორჯია
- ▲ BP-ის წარმომადგენლობა
- ▲ TBC ბანკი
- ▲ ბაზის ბანკი
- ▲ პროკრედიტ ბანკი
- ▲ რესპუბლიკა ბანკი
- ▲ Hualing international special economic zone
- ▲ მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური სააპარტმენტო
- ▲ საქართველოს სავაჭრო-საინვესტიციო კორპორაცია
- ▲ ბათუმის საფულავი ნავსადგური
- ▲ ფოთის საფულავი ნავსადგური
- ▲ რუსთავის ავოტი
- ▲ მტკვარი ენერჯიტი
- ▲ საქნახშირი
- ▲ კავინო ივერია
- ▲ კავინო აჭარა
- ▲ ელიტ ელექტრონიკსი
- ▲ ვითიზი ბანკი
- ▲ რედიქსი
- ▲ ვისოლ კაბროლიუმ ჯორჯია
- ▲ სან კაბროლიუმ ჯორჯია (GULF)
- ▲ ჯეოსელი
- ▲ მამთიკომი
- ▲ ლიბერთი ბანკი



მთავარი უპირატესობები

- ▲ ნებისმიერ ლიცენზირებულ კლინიკაში მიღებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, პირად ექიმთან შეთანხმების გარეშე;
- ▲ პრივილეგირებულ პროვაიდერული (პპ) ქსელის კლინიკებში ბარათით მომსახურების მიღების შესაძლებლობა;
- ▲ 500 ლარამდე ამბულატორიული მომსახურების და მედიკამენტების ხარჯების დაუყოვნებლივ, ხელზე ანაზღაურება;
- ▲ "სადაზღვევო ფოსტა": ანაზღაურებისთვის საჭირო დოკუმენტების მოწოდება სახლიდან გაუსვლელად კურიერის საშუალებით;
- ▲ საზღვარგარეთ ჩატარებული მკურნალობის და გამოსაკლვევი მასალის საზღვარგარეთ გამოკვლევის ხარჯების ანაზღაურება;
- ▲ ექიმის ბინაზე მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (სამედიცინო ჩვენებით);
- ▲ ქრონიკული, დაზღვევამდე არსებული და ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა;
- ▲ თურქეთის წამყვან კლინიკებში სამედიცინო მომსახურება ექსკლუზიურ ფასად;
- ▲ 20-30% ფასდაკლებები სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებზე: აუზები, ფიტნეს-ცენტრები და სხვ. (ჩამონათვალი იხ. ბმულზე www.gpih.ge/extrabenefits).
- ▲ ანაზღაურების სერვის-ცენტრი მდებარეობს აღმაშენებლის გამზ. #61-ში



სიზუსტა

ჩვენი დაზღვევის პირობების ზუსტი და მკაფიოა



სიმატიზა

პროცედურები მარტივი და გასაგები



სისწრაფა

ჩვენ სწრაფად მოვაგვარებთ თქვენს პრობლემებს



კომფორტი

ჩვენთან ურთიერთობა კომფორტულია

ჩვენი შეთავაზების მთავარი უპირატესობები:

- ▲ ნებისმიერ ლიცენზირებულ კლინიკაში მიღებული ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, პირად ექიმთან შეთანხმების გარეშე;
- ▲ 500 ლარამდე ამბულატორიული მომსახურების და მედიკამენტების ხარჯების დაუყოვნებლივ, ხელზე ანაზღაურება;
- ▲ ქრონიკული და დაზღვევამდე არსებული დაავადებების მკურნალობა;
- ▲ ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა;
- ▲ კონტრაქტორი კლინიკები მთელი ქვეყნის მასშტაბით;
- ▲ დამატებითი მომსახურებები: სამოგზაურო დაზღვევა; რთული სამედიცინო შემთხვევების მართვა

ჯანმრთელობის დაზღვევით ასევე კვარავთ შემდეგი დაავადებების მკურნალობას:

- ▲ ონკოლოგია;
- ▲ კარდიოლოგია;
- ▲ შაქრიან დიაბეტთან და მის გართულებებთან დაკავშირებული ამბულატორიული და მედიკამენტოზური ხარჯები;
- ▲ სისტემური დაავადებები;
- ▲ იმპლანტი/პროთეზი;
- ▲ ვულვოვაგინალური კანდიდიოზი და ბაქტერიული ვაგინოზი /ურეთრიტი;
- ▲ თირკმლის ქრონიკული უკმარისობა;
- ▲ ქრონიკული დაავადებები;
- ▲ თანდაყოლილი და გენეტიკური დაავადებების ქირურგიული მომსახურების ხარჯების ანაზღაურება სადაზღვევო პერიოდში დიაგნოსტირებული;
- ▲ ორსულობა /მშობიარობა (ექსკლუზიური მომსახურება აყვანილი/მოწვეული ექიმი, ლუქს პალატა);
- ▲ საქართველოში აღებული გამოსაკვლევი მასალის საზღვარგარეთ გაგზავნა და გამოკვლევა;
- ▲ საზღვარგარეთ მკურნალობა.

ჯანმრთელობის დაზღვევით ასევე ვაფინანსებთ შემდეგ მომსახურებებს:

- ▲ მაღალტექნოლოგიური კვლევები
- ▲ ქიმიო თერაპია, სხივური თერაპია
- ▲ აბლაცია
- ▲ საზღვარგარეთ მკურნალობა
- ▲ ორთოპედიული სტომატოლოგიური მომსახურება (20-30 % ფასდაკლებით პროვაიდერ კლინიკაში)
- ▲ სტომატოლოგიური იმპლანტები(10 - 50% ფასდაკლებით პროვაიდერ კლინიკაში)
- ▲ ორთოდონტიული სტომატოლოგიური მომსახურება (20-30 % ფასდაკლებით პროვაიდერ კლინიკაში)
- ▲ დამატებითი სტომატოლოგიური მომსახურება (ვექტორი)
- ▲ თავისუფალი არჩევანი სტომატოლოგიაში





ჩვენი პრიორიტეტი უზრუნველყოფილია



- ▲ პირადი ექიმის და პედიატრის სამსახური
- ▲ მომსახურება - კვირაში 7 დღე
- ▲ გახანგრძლივებული სამუშაო გრაფიკი - საღამოს 8 საათამდე
- ▲ ცენტრალური ლოკაცია
- ▲ მომსახურება რიგებისა და ლოდინის გარეშე
- ▲ საერთაშორისო სერტიფიკატების მქონე ლაბორატორია
- ▲ ქვეყნის წამყვანი სპეციალისტები და უმაღლესი ხარისხის ინსტრუმენტული დიაგნოსტიკა
- ▲ ბიულეტენის გახსნა / დახურვა, სამედიცინო ცნობების გაცემა

კურაციო გამონაკლისების გარეშე

კლინიკა კურაციოში ჩატარებული ნებისმიერი სადიაგნოსტიკო კვლევა და სპეციალისტის კონსულტაცია დაფინანსდება თქვენი სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებული გამონაკლისების მიუხედავად;



მომსახურება მხოლოდ ბარათით წამყვან კლინიკებში

- ▲ პაციენტზე მორგებული სამედიცინო მომსახურების სქემა
- ▲ ამბულატორიული მომსახურების მიღების შესაძლებლობა მხოლოდ სადაზღვევო ბარათის წარმოდგენის საფუძველზე

ბარათით მომსახურება დ. ტატიშვილის სამედიცინო ცენტრებში

- ▲ ჯიპიას წარმომადგენლის მიერ კლინიკის სპეციალისტების დანიშნული გამოკვებების ბლანკზე გადატანის შესაძლებლობა - ალარ დაგჭირდებათ თანხის გადახდა ტატიშვილის კლინიკებში ამბულატორიული მომსახურების მისაღებად
- ▲ ჯიპიას წარმომადგენლის მიერ კლინიკის სპეციალისტების დანიშნული მედიკამენტების ბლანკზე გადატანის შესაძლებლობა - ალარ დაგჭირდებათ თანხის გადახდა მედიკამენტის შესაძენად

პირადი ექიმის სამსახურის ფართო ქსელი

- ▲ ქ. თბილისი - სამედიცინო ცენტრი
- ▲ ქ. თბილისი - მედიკორი
- ▲ ქ. თბილისი - შპს „გიდგედი ჰლუსი“
- ▲ ქ. თბილისი - შპს თბილისის მე-19 მოზრდილთა პოლიკლინიკა
- ▲ ქ. თბილისი - შპს სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი 23-ე პოლიკლინიკა
- ▲ ქ. თბილისი - შპს კლინიკა ნიუგედი

**გასათვალისწინებელია რომ გაქვთ შესაძლებლობა საუკეთესო
პირობებით დაზღვიოთ არასტანდარტული ოჯახის წევრები
(დედა/მამა; და/ძმა)**



რატომ უნდა აირჩიოთ ჯიპიაი ჰოლდინგის კორპორატიული ჯანმრთელობის დაზღვევა?



ექიმის 24 საათიანი საბელაჟონო კონსულტაცია - მიიღეთ კვალიფიციური სამედიცინო რჩევები, დღის და ღამის ნებისმიერ დროს!



- ▲ ჯიპიაის სამედიცინო მენეჯერების მომსახურება ადგილზე - სამედიცინო დაწესებულებაში!
- ▲ გადაუდებელი სამედიცინო შემთხვევების დროს ჯიპიაი ჰოლდინგის მენეჯერები გადიან ადგილზე და სრულ დახმარებას უწევენ დაზღვეულს სამედიცინო სერვისის შეუფერხებლად მიღებაში;
- ▲ დაზღვეულის სრული ინფორმირება სადაზღვევო პირობების შესახებ;
- ▲ ოპერატიული და მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა;
- ▲ ბიუროკრატიული საკითხების მოგვარება (ურთიერთობა სადაზღვევო კომპანიასთან და კლინიკის ადმინისტრაციასთან).

ანაზღაურების ყუთები და ონლაინ განაცხადი - შიბყვით ონლაინ, თუ რა მოცულობის თანხა ავინაზღაურდებათ

დამატებითი მომსახურება – თანხის ანაზღაურება სახლიდან გაუსვლელად (მოქმედებს ქ. თბილისის ფარგლებში):

ასანაზღაურებალი თანხის მიღება შესაძლებელია 2 ოფციიდან ერთ-ერთით:

- 1) დაზღვეული ავსებს განაცხადს სადაზღვევო ანაზღაურების შესახებ (განაცხადის მიწოდებას უზრუნველყოფს დამზღვევის კადრების სამსახური ან შესაძლებელია მისი ამობეჭდვა შემდეგი ბმულიდან <https://www.gpih.ge/gpih/individuals/Box%20Form-00.pdf>) და უკავშირდება საქართველოს ფოსტას კურიერის გამოსაძახებლად თბილისში — ტელ: 224 09 09;
- 2) სამედიცინო მომსახურების საფასური ჩაირიცხება დაზღვეულის ან უფლებამოსილი პირის საბანკო ანგარიშზე.
- 3) კურიერი ჩაიბარებს ასანაზღაურებლად საჭირო დოკუმენტაციას (შევსებული განაცხადი სადაზღვევო ანაზღაურების შესახებ, მიღებული სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი სამედიცინო და ფინანსური დოკუმენტაცია).
- 4) ამობეჭდილი განაცხადი და ორიგინალი საბუთების მოათავსება "ჯიპიაი"-ს სპეციალურ ანაზღაურების ყუთებში „თი ბი სი ბანკისა“; „სახალხო აფთიაქის“ ფილიალებში
- 5) თანხის ხელზე ასაღებად შეგიძლიათ მობრძანდეთ ჩვენს სერვის ცენტრში ჭავჭავაძის გამზ. №2. წარმოადგინეთ ამობეჭდილი განაცხადი და ორიგინალი საბუთები. განაცხადის ჩამოსატვირთად ეწვიეთ ვებ გვერდს: განაცხადი.გპიპ.გე

დამატებითი მომსახურება (მოქმედებს ქ. თბილისის ფარგლებში): - ამობეჭდილი განაცხადები და ორიგინალი საბუთების მოათავსება შესაძლებელია „ჯი პი აი“-ის სპეციალურ ანაზღაურების ყუთებში და ასევე, თბილისში მდებარე სახალხო აფთიაქების ქსელში.





პენის სადაზღვევო ჯგუფი

ჯანმრთელობის დაზღვევის მრავალფუნქციური ბარათი!



უფრო სწრაფი, კომფორტული
და გამარტივებული მომსახურება!

ჯანმრთელობის დაზღვევის მრავალფუნქციური ბარათი!

- ▲ ჯანმრთელობის დაზღვევით მომსახურების მიღება ახლა უკვე შესაძლებელია მხოლოდ დაზღვევის ბარათით, მიმართვის ბლანკებისა და სხვა წერილობითი დოკუმენტების გარეშე.
- ▲ ინფორმაცია ელექტრონულადაა დატანილი ბარათზე, რომელიც ხელმისაწვდომია პროვაიდერ კლინიკებში, სტომატოლოგიურ კლინიკებში და საავთთიანო ქსელში.
- ▲ ჩვენი მომსახურება ახლა უფრო მარტივი, სწრაფი და კომფორტული გახდა!

ბარათზე დატანილია ელექტრონული ინფორმაცია დაზღვეულის შესახებ, კერძოდ:

- ▲ სადაზღვევო პაკეტის პირობები, ლიმიტები, დაფარვის %
- ▲ რა ლიმიტია დარჩენილი ამა თუ იმ მომსახურებაზე
- ▲ ექიმის მიერ დანიშნული სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტები
- ▲ სტომატოლოგიური მომსახურების ლიმიტი და დაფარვის %

პირველად საქართველოში!

ახლა უკვე შეგიძლიათ მიიღოთ მომსახურება მხოლოდ ელექტრონული ბარათის საფუძველზე პროვიდერებზე პროვაიდერ კლინიკებში!

- ▲ სამედიცინო მომსახურება პირადი ექიმის მიმართვის გარეშე;
- ▲ მხოლოდ დაბღვევის ელექტრონული ბარათისა და პირადობის მოწმობის საფუძველზე ჩაიტარეთ სპეციალისტის კონსულტაცია და ნებისმიერი ექიმის დანიშნული გამოკვლევები;
- ▲ ადგილზე გადაიხდით მხოლოდ თქვენ მიერ გადასახდელ წილს;
- ▲ სქემაში ჩართული კლინიკების სიის განახლება მიმდინარეობს მუდმივად. სრული სია იხილეთ ბმულზე: <https://www.gpih.ge/gpih/individuals/elcards.php>

შპს დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
შპს მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი-საუნივერსიტეტო კლინიკა
სამედიცინო ცენტრი "ციტო"
შპს "მრჩეველი"
შპს ახალი მზერა
ჯონის სახელობის სამედიცინო ცენტრი
შპს წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო
შპს აკ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია-მეტაბოლოგია-დიეტოლოგიის ცენტრი ენმედიცი
ახალი სიცოცხლე
სს ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი
შპს მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედიკალ

ელექტრონული ბარათით მომსახურების უპირატესობა:

- ▲ მომსახურების მიღების ყველაზე **კომფორტული სქემა**: პროვაიდერ კლინიკაში და საათუთიანო ქსელში არ წარადგენთ დამატებით დოკუმენტაციას, ამობეჭდილ მიმართვებს და საგარანტიო წერილებს. ელექტრონული ბარათზე ავტომატურად იქნება ასახული პირადი ექიმის მიმართვა.
- ▲ **ოპერატიული მომსახურება**: პრივილეგიურებულ პროვაიდერ კლინიკებში მომსახურების მიღებისას იხდით მხოლოდ თქვენ მიერ გადასახდელ წილს ისე, რომ არ არის აუცილებელი ოჯახის ექიმთან მომსახურების შეთანხმება. **სტომატოლოგიური** მომსახურების მიღებისას კლინიკის წარმომადგენელს აღარ მოუწევს ჯიპიაი-ს ცხელ ხაზზე დატყუარების %-სა და დარჩენილი ლიმიტის გადამოწმება. ამ ინფორმაციას ჯიპიაი-ს ელექტრონული სისტემიდან ბარათის საშუალებით მიიღებენ.
- ▲ პროვაიდერ კლინიკებში ელექტრონული ბარათით მომსახურების მიღებისას შეგიძლიათ თავად **აკონტროლოთ ლიმიტები**. დარეგისტრირდით MYGPI.GE-ზე და აკონტროლეთ თქვენ მიერ გახარჯული თანხა.

როგორ მუშაობს დაზღვევის ელ. გარათი?

მიმართავთ პროვაიდერ სამედიცინო დაწესებულებას/საათუთაქო ქსელს, სადაც წარადგენთ დაზღვევის ელექტრონულ ბარათს და პირადობის მოწმობას.

ამბულატორიული მომსახურება: ოჯახის ექიმი დანიშნულ კვლევებს ასახავს ელექტრონულ ბარათზე. კლინიკაში ჩაიტარებთ ოჯახის ექიმის მიერ დანიშნულ გამოკვლევებს. **პრივილეგიურებულ პროვაიდერ კლინიკებში** ჩაიტარებთ ნებისმიერი ექიმის მიერ დანიშნულ კვლევებს და იხდით მხოლოდ თქვენ მიერ გადასახდელ წილს.

ათუთაქში: ოჯახის ექიმის ასახავს დანიშნულ მედიკამენტებს ელექტრონულ ბარათზე. პროვაიდერ საათუთაქო ქსელებში გაატარებთ ბარათს, რომელზეც ავტომატურად იქნება ასახული ექიმის მიერ გამოწერილი მედიკამენტები.

ჰოსპიტალური მომსახურება: ჩვენ მიერ გაცემული საგარანტიო წერილი აისახება ელექტრონულ ბარათზე. კლინიკა ბარათის საშუალებით ელექტრონულად ნახავს საგარანტიო წერილს, რის საფუძველზეც იტარებთ სამედიცინო მომსახურებას. თქვენ აღარ მოგიწევთ დოკუმენტის მისაღებად ოფისში მოსვლა და სხვა პროცედურების გავლა.

სტომატოლოგიური მომსახურება: პროვაიდერ კლინიკაში იტარებთ მომსახურებას. დარჩენილი ლიმიტი და მომსახურების მიღება აისახება ელექტრონულ ბარათზე.


ჯანმრთელობის დაზღვევის მრავალფუნქციური ბარათი!

სრული ინფორმაცია შეგიძლიათ ნახოთ ელექტრონულ პორტალზე mygpi.ge, ასევე მუშაობს 24 საათიანი ცხელი ხაზი



ინფორმაცია დაფარვებისა და გახარჯული ლიმიტების შესახებ ავტომატურად აისახება თქვენს პირად კაბინეტში ელექტრონულ პორტალზე: www.mygpi.ge

ჩამოტვირთეთ მობილური აპლიკაცია და დისტანციურად აინაზღაურეთ თანხა 1 სამუშაო დღის განმავლობაში
*აპლიკაციით ანაზღაურდება 500 ლარამდე თანხა



დაფარვებისა და სადაზღვევო პაკეტის შესახებ ინფორმაცია. დეტალური ინფორმაცია იხილეთ პირად კაბინეტში ელექტრონულ პორტალზე: www.mygpi.ge

მტრისკოდი და მაგნიტური ველი: ინფორმაციის მატარებლები, რომლის საშუალებითაც პროვაიდერი კლინიკები და აფთიაქები მომენტალურად იღებენ ინფორმაციას დაზღვეულის შესახებ

დაზღვეულის უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი

ჯანმრთელობის დაზღვევის მრავალფუნქციური ბარათი

უფრო სწრაფი, კომფორტული და გამანათლებელი მომსახურება!




დანებოსტორი დაზღვევის პორტალი **mygpi.ge**, სადაც აისახება თქვენ მიერ განაწესებული ღირებულებები, იხილეთ დაზღვევის სხვა დეტალები თქვენს პირად კაბინეტში მიიღეთ სწრაფი დაზღვევის მომსახურება მონაცემები!

Mygpi.ge
მონაცემების მომსახურება

ჰოსპიტალური მომსახურება

საგარანტო წერილი ავტომატურად აისახება დაზღვევის ელ. ბარათზე და სამედიცინო მომსახურების მიღებისთვის საკმარისია მხოლოდ მისი წარდგენა სამედიცინო დაწესებულებაში.



სტომატოლოგი



პროვადერ სტომატოლოგიურ კლინიკაში ჯიპიაი-ს ელექტრონული სისტემით კლინიკის მიერ ავტომატურად ხდება ინფორმაციის გადამოწმება დაფარვებისა და ლიმიტების შესახებ. მომსახურებას იღებთ ბარათით და ისლეთ მხოლოდ თქვენს წილს.

აგზაუბრობის მომსახურება

ანალიზები, დიაგნოსტიკა, ექიმთან ვიზიტი

კლინიკა



პირადი ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტები ავტომატურად აისახება დაზღვევის ელ. ბარათზე და მედიკამენტების შესაძენად საკმარისია მისი წარდგენა პროვადერ საფუთიაქო ქსელში.

აფთიაქი

პროვადერი საფუთიაქო ქსელები:

სახალხო აფთიაქი, პსპ, აგერსი, გეფა

პროვადერი საფუთიაქო ქსელები

მიიღეთ სამედიცინო მომსახურება ქვეყნის წამყვან კლინიკებში ექიმის მიმართვის გარეშე, მხოლოდ დაზღვევის ელ. ბარათის წარდგენის საფუძველზე.

პირადი ექიმის მიერ

პირადი ექიმის მიერ გაცემული მიმართვები ავტომატურად აისახება დაზღვევის ელ. ბარათზე, რაც საშუალებას გაძლევთ სამედიცინო მომსახურება მიიღოთ დამატებითი დოკუმენტაციის გარეშე, კლინიკის წარმომადგენლის მიერ ბარათის წამკითხველში გატარების გზით.



ბარათზე დატანილი ინფორმაცია დაზღვევის შესახებ:

სადაზღვევო პაკეტის პირობები, ღირებულებები, დაზღვევის %, დანიშნული ღირებულებები, ექიმის მიერ დანიშნული სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტები; სტომატოლოგიური მომსახურების ღირებულება და დაზღვევის %



კლინიკების სია განახლებადია, სია იხილეთ ბმულზე : <https://www.gpih.ge/gpih/individuals/elcards.php>

პირველად საქართველოში!

თანხის ანაზღაურება 1 დღეში
მობილური აპლიკაციის **GPI Mobile** და ვებ-გვერდი **MYGPI.GE**
საშუალებით.



ჯიპიაი ჰოლდინგი ყოველწლიურად **150 000**-ზე მეტ დარღვეულს
ემსახურება საქართველოს ყველა კუთხეში.

ყოველწლიურად ანაზღაურებული თანხა შეადგენს **100 000** ლ


პირველად საქართველოში მთავაზოვთ დაზღვევის სრულყოფილ ONLINE მომსახურებას და რეგისტრირდით და ისარგებლეთ გამართივეზული მომსახურებით

☎ 0322 505 111 📍 გამარჯობა, თამთა 🏠

ჭიჭიაი
პენის სადაზღვევო აზოზი







მთავარი ჩემი ანგარიში პროდუქტები პროექტის შესახებ კონტაქტი

ჩემი ანგარიში



ჭოჭუა თამთა
577665544
tamta.tch@gmail.com

ჩემი ანგარიში

-  პროფილი
-  კოლისები
-  ანაზღაურება ⊕
-  კურაციოში ჩანება ⊕
-  კრებენიები
-  საფოსტო ყუთი

ჯანმრთელობის დაზღვევის დეტალური ინფორმაცია: სამედიცინო გეგმა, მომსახურებაგის დაფარვა და ლიმიტები;


მომხმედი კოლისების შესახებ ინფორმაცია: შექმნილი სადაზღვევო პროდუქტები;

სამედიცინო ანაზღაურება დისტანციურად - აინაზღაურეთ მიღებული სამედიცინო მომსახურების ღირებულება 1 დღის ვადაში ანდა მოითხოვეთ საგარანტიო წერილი;

მიღებული მომსახურების მართვა: გახარჯვები, დარჩენილი ლიმიტები, ანაზღაურებული თანხები, ექიმის მიერ დანიშნული მიმართვები;

კლინიკა კურაციოში ჩანება: პირადი ექიმი, სავიციალისტები, გამოკვლევაები;

მომსახურების მიღება შესაძლებელია თქვენთვის სასურველ ნებისმიერ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში



*ჰოსპიტალური და ქირურგიული მომსახურების მისაღებად საჭიროა ჩვენთან წინასწარ შეთანხმება;

სტომატოლოგიური მომსახურება ნებისმიერ სტომატოლოგიურ კლინიკაში

მიიღეთ მომსახურება პრივილეგიებულ პროვაიდერ კლინიკებში პირადი ექიმის ჩართულობის გარეშე

მომსახურებას იღებთ მხოლოდ დაგლვევის გარეთით და პირადობის მოწმობით!

- ▲ მომსახურებას იღებთ წინასწარი შეთანხმების და პირადი ექიმის მიმართვის გარეშე;
- ▲ გეგმიურ ამბულატორიულ მომსახურებაში იხდით მხოლოდ თქვენს მიერ გადასახდელ წილს



GLOBALMED
გლობალ მედი
პედიატრიული კლინიკა
თბილისი, ყიფშიძის ვვ



ინგოროყვას
საუნივერსიტეტო
კლინიკა
თბილისი, წინანდლის ქ. 9



დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრი

დამატებითი მომსახურება

- ▲ ჯიჯიის სერვის მენეჯერის მომსახურება აღმნიშნავ;
- ▲ ექიმების/სპეციალისტების მიერ დანიშნული მედიკამენტების ჯიჯიის ბლანკზე გადაბანა.

▲ სარჩევში დაბრუნება

▲ პირადი ექიმი / კლინიკა კურაცი

წარადგინეთ დაგვების გარეთი და ისარგებლეთ ფასდაკლებებით
სხვადასხვა ცენტრებში



ფასდაკლებების შესახებ ინფორმაცია
ისილეთ გვეუბნება

<https://www.gpih.ge/gpih/extrabenefits/>



წინამდებარე წინადადება ძალაში 8 000 თანამშრომლის (ამასთან თითოეული ორგანიზაციიდან თანამშრომელთა სულ მცირე 70%-ის (არანაკლებ წინა წლის პარამეტრი) დაზღვევის შემთხვევაში.

სადაზღვევო პროგრამის უპირატესობები

- **შეთავაზება მოიცავს რამოდენიმე ტიპის სადაზღვევო ბარათს, რომლებიც ითვალისწინებს ძირითად მომსახურებებს:**
 - 24 საათიანი სატელეფონო მომსახურება
 - პირადი ექიმის მომსახურება
 - პროფილაქტიკური გამოკვლევები
 - სასწრაფო სამედიცინო დახმარება
 - გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება
 - ჰოსპიტალური მომსახურება უბედური შემთხვევის გამო
 - გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურება
 - დღის ჰოსპიტალურ მომსახურება
 - ონკოლოგია
 - გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება
 - გადაუდებელი ვაქცინაცია
 - გეგმიური ამბულატორიული მომსახურება
 - მედიკამენტები
 - ორსულობა
 - მშობიარობა
 - გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება
 - გეგმიური სტომატოლოგიური მომსახურება
 - ორთოპედიული, ორთოდონტიული, იმპლანტაციური სტომატოლოგიური მომსახურება
- **დამატებით მომსახურებებს:**
 - მკურნალობა საზღვარგარეთ
 - საქართველოში აღებული გამოსაკვლევი მასალის საზღვარგარეთ გამოკვლევა
 - რთული სამედიცინო შემთხვევების მართვა
 - დამატებითი მომსახურება მშობიარობის დროს
 - ექთნის მომსახურება ბინაზე
 - დაზღვევით გაუთვალისწინებელი შემთხვევების ანაღურების ფონდი
- **დამატებით დაზღვევას:**
 - სამოგზაურო დაზღვევა
 - უბედური შემთხვევის დაზღვევა
- **წინამდებარე წინადადებით დაზღვეული პირები ისარგებლებენ ინოვაციური სერვისებით:**
 - კურაციოში ვიზიტის დაჯავშნა ვებ. გვერდის მეშვეობით - ჩვენ დავწერეთ ინოვაციური სერვისი, რის მეშვეობითაც დაზღვეული ვებ. გვერდზე <https://mygpi.ge/> დარეგისტრირების შემდგომ შეძლებს ექიმთან ვიზიტის დაჯავშნას
 - სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობა ქვეყნის წამყვან კლინიკებში ექიმის მიმართვის გარეშე, მხოლოდ დაზღვევის ელ. ბარათის წარდგენის საფუძველზე (პირადი ექიმის მიერ გაცემული მიმართვები ავტომატურად აისახება დაზღვევის ელ. ბარათზე, რაც საშუალებას გაძლევთ სამედიცინო მომსახურება მიიღოთ დამატებითი დოკუმენტაციის გარეშე, კლინიკის წარმომადგენლის მიერ ბარათის წამკითხველში გატარების გზით)
 - მედიკამენტების შეძენის შესაძლებლობა პროვაიდერ სააფთიაქო ქსელში ელ. ბარათის წარდგენის საფუძველზე (პირადი ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტები ავტომატურად აისახება დაზღვევის ელ. ბარათზე და მედიკამენტების შესაძენად საკმარისია მისი წარდგენა პროვაიდერ სააფთიაქო ქსელში)
 - მიღებული მომსახურების ანაზღაურებასთან დაკავშირების მოქნილი ტიპის სქემა (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში სათაო ოფისში მოთავსებული ანაზღაურებისთვის განკუთვნილი ყუთი, ელექტრონული ფორმით მოწოდებული საბუთები, online ანაზღაურება):
 - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში განთავსდება „ჯი პი აი“-ს სპეციალიზირებული ყუთი, რომელიც განკუთვნილი იქნება ასანაზღაურებელი დოკუმენტაციისთვის. ყუთის მომსახურების პერიოდულობა შეთანხმდება დამზღვევთან. სერვისი ვრცელდება 500 ლარამდე ერთჯერადად ასანაზღაურებელ მომსახურებებზე
 - მიღებული მომსახურების ქვითების ანაზღაურება შესაძლებელია დაზღვეულისთვის სასურველი ადგილიდან და სასურველ დროს www.MYGPI.GE და მობილური აპლიკაციის GPI MOBILE საშუალებით (ამისათვის საიტზე <https://mygpi.ge/> დარეგისტრირებულ მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა შესაბამის გვერდზე

<https://mygpi.ge/medicalcasesguaranteeletters> გადასვლის შემდგომ ანაზღაურების მოთხოვნა დააფიქსიროს). „სამედიცინო მომსახურების ონლაინ ანაზღაურებით“ შესაძლებელია 500 ლარამდე მომსახურების ღირებულების ანაზღაურება. ანაზღაურება განხორციელდება სრულყოფილად დოკუმენტების გამოგზავნიდან 1 სამუშაო დღის ვადაში (თანხა ჩაგერიცხებათ მომდევნო სამუშაო დღეს). გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ სტომატოლოგიური მომსახურება ონლაინ ანაზღაურებას არ ექვემდებარება

- ვებ.გვერდზე ასევე შეძლებთ იხილოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:
 - ✓ მოქმედი პოლისების შესახებ ინფორმაცია: შეძენილი სადაზღვევო პროდუქტები
 - ✓ კლინიკა კურაციოში ჩაწერა: პირადი ექიმი, სპეციალისტები, გამოკვლევები
 - ✓ ჯანმრთელობის დაზღვევის დეტალური ინფორმაცია: სამედიცინო გეგმა, მომსახურებების დაფარვები და ლიმიტები
 - ✓ მიღებული მომსახურების მართვა: გახარჯვები, დარჩენილი ლიმიტები, ანაზღაურებული თანხები, ექიმის მიერ დანიშნული მიმართვები
 - ✓ სამედიცინო ანაზღაურება დისტანციურად - ანაზღაურეთ მიღებული სამედიცინო მომსახურების ღირებულება 1 დღის ვადაში ანდა მოითხოვეთ საგარანტიო წერილი

- **ჯიპიას სამედიცინო მენეჯერების მომსახურება ადგილზე - სამედიცინო დაწესებულებაში**

- გადაუდებელი სამედიცინო შემთხვევების დროს ჯიპიაი ჰოლდინგის მენეჯერები გადიან ადგილზე და სრულ დახმარებას უწევენ დაზღვეულს სამედიცინო სერვისის შეუფერხებლად მიღებაში
- დაზღვეულის სრული ინფორმირება სადაზღვევო პირობების შესახებ
- ოპერატიული და მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა
- ბიუროკრატიული საკითხების მოგვარება (ურთიერთობა სადაზღვევო კომპანიასთან და კლინიკის ადმინისტრაციასთან)

- **პროვაიდერი კლინიკების ფართო ქსელი**

- სადაზღვევო კომპანიას აქვს პროვაიდერების ვრცელი ჩამონათვალი ყველა რეგიონში
- ოჯახის ექიმის და სტომატოლოგიური მომსახურების მიღება შესაძლებელი ყველა იმ რეგიონულ ცენტრში, სადაც წარმოდგენილია შესაბამისი სტრუქტურების თანამშრომლები

-

დანართი #1 - დაზღვევის პირობები

1. სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებულ მომსახურებათა განმარტებები:

- 1.1. **24/24 ცხელი ხაზი** - ითვალისწინებს სადღეღამისო სატელეფონო სადაზღვევო კონსულტაციას, მიმდინარე სამედიცინო დაზღვევასთან დაკავშირებულ პრობლემატური საკითხების მოგვარებას.
- 1.2. **პირადი ექიმი** – ითვალისწინებს კომპანიის მიერ მითითებული პირადი ექიმის (ზოგადი პრაქტიკის ექიმი და/ან პედიატრის) კონსულტაციას პირადი ექიმის სამსახურის ბაზაზე, მის მიერ ჯანმრთელობის მუდმივ მეთვალყურეობას, საჭიროების შემთხვევაში მიმართვებით და დანიშნულებით უზრუნველყოფას.
- 1.3. **პროფილაქტიკური გამოკვლევები** - ითვალისწინებს სამედიცინო ჩვენების გარეშე ჯანმრთელობის შემოწმების მიზნით სქესის და ასაკის გათვალისწინებით შემდეგი სამედიცინო მომსახურებების ანაზღაურებას პირადი ექიმის სამსახურის ბაზაზე:

სამედიცინო მომსახურების წლიური (12 თვის განმავლობაში) ჯერადობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით							
სამედიცინო მომსახურება	ასაკობრივი ჯგუფები						
	ქალი				კაცი		
	0-14	15- 29	30-49	50-60	15- 29	30-49	50-60
პირადი ექიმის კონსულტაცია	1	1	1	1	1	1	1
სისხლის საერთო ანალიზი	1	1	2	2	1	2	2
შაქარი სისხლში				1			1
ქოლესტერინი			1	1		1	1
შარდის საერთო ანალიზი	1	1	1	1	1	1	2
განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე			1	1		1	1
პაპ ტესტი		1	1	1			
ექიმამოგრაფია			1	1			
კვბ			1	2		1	2
PSA							1

- 1.4. **სასწრაფო სამედიცინო დახმარება** – ითვალისწინებს სამედიცინო ჩვენებით სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ სამედიცინო მომსახურებას, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში დაზღვეულის სასიცოცხლო ფუნქციების შენარჩუნების მიზნით შემთხვევის ადგილიდან სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირებას.
- 1.5. **ჰოსპიტალური მომსახურება** - ითვალისწინებს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარ სადაზღვევო შემთხვევის სამედიცინო მომსახურებას (თერაპიული და ქირურგიული მკურნალობა; დიაგნოსტიკური მანიპულაციები; სტანდარტულ, რეანიმაციულ და/ან ინტენსიური პალატაში დაყოვნება), რომელიც ტარდება შესაბამისი ჰოსპიტალური მომსახურების ლიცენზიის მქონე სამედიცინო დაწესებულებაში, როდესაც პაციენტის საწოლზე დაყოვნების ხალგრძლივობა აღემატება 1 საწოლდღეს.
 - 1.5.1. **ჰოსპიტალური მომსახურება უბედური შემთხვევის გამო** - ითვალისწინებს გარეშე ძალის (ფიზიკური, მექანიკური, თერმული, ქიმიური) ზემოქმედების შედეგად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისას იმ სამედიცინო ღონისძიებებს, რომელთა 24 საათზე მეტი ხნით გადავადება იწვევს დაზღვეულის სიკვდილს ან დაინვალიდებას.
 - 1.5.2. **გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება** - ითვალისწინებს დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებული სამედიცინო ღონისძიებებს, რომელთა 24 საათზე მეტი ხნით გადავადება იწვევს დაზღვეულის სიკვდილს. გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება მოიცავს:
 - **გადაუდებელი (კრიტიკული) ჰოსპიტალური მომსახურება** - სიცოცხლის გადასარჩენად მიმართული ჰოსპიტალური მომსახურება ერთდროული რეანიმაციით. ჩარევა იწყება გადაწყვეტილების მიღებიდან რამდენიმე წუთში.
 - **სასწრაფო-დაუყოვნებელი ჰოსპიტალური მომსახურება** - მწვავედ დაწყებული ან/და კლინიკურად გაუარესებული, სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობების დროს განსახორციელებელი ჰოსპიტალური მომსახურება. ჩარევა იწყება არა უგვიანეს 24 საათისა.
 - 1.5.3. **გეგმიური/სასწრაფო დაყოვნებადი ჰოსპიტალური მომსახურება** - ითვალისწინებს დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის ისეთ გაუარესებას, როდესაც ჰოსპიტალური მომსახურების 24 საათზე მეტი ხნით გადავადება არ იწვევს დაზღვეულის სიკვდილს.
 - **სასწრაფო დაყოვნებადი ჰოსპიტალური მომსახურება** იგეგმება რამდენიმე დღეში.
 - **გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურება** იგეგმება პაციენტისთვის, ექიმისთვის და/ან სამედიცინო დაწესებულებისათვის მოსახერხებელ დროს მონაკვეთში.
- 1.6. **დღის ჰოსპიტალური მომსახურება** - ითვალისწინებს სამედიცინო მომსახურებას (თერაპიული და ქირურგიული მკურნალობა; სამკურნალო მანიპულაციები; სტანდარტულ პალატაში დაყოვნება), რომელიც ტარდება შესაბამისი ლიცენზიის მქონე სამედიცინო დაწესებულებაში, როდესაც პაციენტის საწოლზე დაყოვნების სამედიცინო ჩვენება 1 საწოლდღე ან ნაკლებია). ამასთან დღის ჰოსპიტალური მომსახურების გართულებები დაფინანსება განხორციელდება ჰოსპიტალური მომსახურების სერვისის ტიპით (ლიმიტი, თანაგადახდა).
- 1.7. **ონკოლოგიური მომსახურება** - ითვალისწინებს სხივურ, რადიო, ქიმიო და ადიუვანტურ თერაპიას.

- 1.8. ამბულატორიული მომსახურება** - ითვალისწინებს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარ სადაზღვევო შემთხვევის სამედიცინო მომსახურებას, რომელიც დაზღვეულს უნდა გაეწიოს შესაბამისი მომსახურების ლიცენზიის მფლობელ სამედიცინო დაწესებულებაში საწოლის დაკავების გარეშე.
- 1.8.1. გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება** - ითვალისწინებს პოზიტიური სიით განსაზღვრული შემთხვევების დროს საჭირო ქვემოთჩამოთვლილ სამედიცინო მომსახურებას, რომელიც დაზღვეულს უნდა გაეწიოს შემთხვევის დადგომიდან პირველი 24 საათის განმავლობაში.
- პოზიტიური სია:**
- გარეშე ძალის (ფიზიკური, მექანიკური, თერმული, ქიმიური) ზემოქმედების შედეგად სხეულის დაზიანება - ექიმის კონსულტაცია, ჭრილობის ქირურგიული დამუშავება/შეხვევა/გაკერა, მოტეხილობის რენტგენოლოგიური კვლევა და იმობილიზაცია; დეზინტოქსიკაცია/ ინფუზიური თერაპია, სისხლის საერთო ანალიზი, კრეატინინი, ელექტროლიტები,
 - გულის რითმის დარღვევები - ექიმის კონსულტაცია, ეკგ, რითმის სტაბილიზაცია.
 - ინტოქსიკაცია - ექიმის კონსულტაცია, დეზინტოქსიკაცია/ინფუზიური თერაპია, ლაბორატორიული კვლევები.
 - ჰიპერტონული კრიზი - ექიმის კონსულტაცია, ელექტროკარდიოგრაფია, არტერიული წნევის სტაბილიზაცია.
 - ცხვირიდან სისხლდენა - ექიმის კონსულტაცია, ტამპონადა, კოაგულანტები.
 - თირკმლის, აბდომინური, ნაღველ-კენჭოვანი კოლიკა - ექიმის კონსულტაცია, სისხლის და შარდის საერთო ანალიზები, ექსკოპია, ი/ვ ინფუზია, ანალგეზიური და სპაზმოლიზური საშუალებები.
 - ასთმის სტატუსი - ექიმის კონსულტაცია, მედიკამენტოზური თერაპია, შეტევის კუპირება.
 - მწვავე/ სიცოცხლისათვის საშიში ალერგიული რეაქცია - ექიმის კონსულტაცია, ანტიალერგიული მკურნალობა.
 - მწვავე ობსტრუქციული ლარინგიტი (კრუპი) - ექიმის კონსულტაცია, შეტევის კუპირება.
 - შარდის შეკავება - ექიმის კონსულტაცია, კათეტერიზაცია (შარდის გამოშვება), ი/ვ ინფუზია, შარდის საერთო ანალიზი
 - ზედა სასუნთქი გზებში, ყურში სასმენ ხვრელში, საჭმლის მომნელებელ სისტემაში უცხო სხეულის მოხვედრა - ექიმის კონსულტაცია, უცხო სხეულის ამოღება.
- 1.8.2. გადაუდებელი ვაქცინაცია** - ექიმის კონსულტაცია, ანტირაბიული, ანტიტეტანური, ბოტულიზმის საწინააღმდეგო, ანტიგიურზინის ვაქცინა/შრატი, ამბულატორიული მანიპულაცია.
- 1.8.3. გეგმიური ამბულატორიული მომსახურება** - ითვალისწინებს სამედიცინო მომსახურებას (სპეციალისტის კონსულტაცია, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევები, დიაგნოსტიკური და მცირე სამკურნალო ამბულატორიული მანიპულაციები), რომელიც არ საჭიროებს დაუყოვნებლივ ჩარევას - რომელიც იგეგმება პაციენტისთვის, ექიმისთვის და/ან სამედიცინო დაწესებულებისათვის მოსახერხებელ დროის მონაკვეთში და/ან არ ხვდება გადაუდებელი ამბულატორიის ჩამონათვალში.
- 1.9. მედიკამენტები** - ფარმაცევტული პროდუქტი (სამკურნალო საშუალება), რომელიც გამოიყენება სამკურნალოდ, დაავადების თავიდან ასაცილებლად, დარღვეული ფიზიოლოგიური ფუნქციების აღდგენისა და კორექციის მიზნით და რომლის ეფექტურობა და უსაფრთხოება დადასტურებულია ობიექტური მტკიცებულებებით.
- 1.10. ორსულობა/ მშობიარობა - ვრცელდება თანამშრომელსა და მის დაზღვეულ მეუღლეზე.**
- 1.10.1. ორსულობა** - ითვალისწინებს შესაბამისი მომსახურების ლიცენზიის მფლობელ სამედიცინო დაწესებულებაში საწოლზე დაყოვნების ხანგრძლივობის მიუხედავად ორსულობასთან და მის გართულებასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურებას (ექიმის კონსულტაცია, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები, მანიპულაციები, სამკურნალო ღონისძიებები) და აბორტს სამედიცინო ჩვენებით.
- 1.10.2. მშობიარობა** - ითვალისწინებს ფიზიოლოგიურ მშობიარობას, სამედიცინო ჩვენებით საკეისრო კვეთას, მშობიარობის და/ან მის შემდგომ ლოგინობის ხანის გართულების სამედიცინო მომსახურებას (მედიკამენტები, მანიპულაციები, პალატა (სტანდარტული, რეანიმაციული, ინტენსიური), გაუტკივარება სამედიცინო ჩვენებით), გარდა მშობიარობის შემდგომი სეფსისის, კრიტიკული (სიცოცხლის გადასარჩენად მიმართული) მდგომარეობის, საშვილოსნოს გარე ორსულობისა, რომლებიც განეკუთვნება გადაუდებელ ჰოსპიტალურ მომსახურებას.
- 1.11. სტომატოლოგია**
- 1.11.1. გადაუდებელი სტომატოლოგია** - ითვალისწინებს სასწრაფო გადაუდებელი შემთხვევის (მწვავე ჩირქოვანი პროცესი ძვალზე (პერიოსტიტი, ოსტეომიელიტი)) დროს პირველადი სტომატოლოგიურ დახმარებას - კბილის სასწრაფოდ ექსტრაქცია, მასთან დაკავშირებული ადგილობრივი ანესთეზია და დიაგნოსტიკური ღონისძიებები (დენტოგრამა, ვიზიო).
- 1.11.2. გეგმიური (თერაპიული და ქირურგიული) სტომატოლოგიური მომსახურება** - ითვალისწინებს დიაგნოსტიკურ ღონისძიებებს (დენტოგრამა, ვიზიო, ორთოპანტომოგრამა), თერაპიულ (კბილის დაბეჭენის, ქვებისა და ნადებების მოცილებას (დახურული კიურეტაჟი ულტრასტომით და პოლირებით)) და ქირურგიულ სტომატოლოგიურ (ექსტრაქცია, მათ შორის ზეკომპლექსური და რეტენირებული კბილების ექსტრაქცია) მომსახურებას, ადგილობრივ ანესთეზიას.
- 1.11.3. ორთოპედიული სტომატოლოგია** - ითვალისწინებს კბილებისა და კბილთა მწკრივების დეფექტების აღდგენას ორთოპედიული კონსტრუქციებით, თერაპიული და ქირურგიული სტომატოლოგიური მომსახურების ისეთ სერვისებს, რომელთა გაწევაც საჭიროა ორთოპედიული სამუშაოების მოსამზადებლად, დიაგნოსტიკურ ღონისძიებებს.
- 1.11.4. ორთოდონტიული სტომატოლოგია** - ითვალისწინებს კბილთა დგომის, კბილთა მწკრივის და თანკბილვის ანომალიების მკურნალობას, თერაპიული და ქირურგიული სტომატოლოგიური მომსახურების ისეთ სერვისებს, რომელთა გაწევაც საჭიროა ორთოდონტიული სამუშაოების მოსამზადებლად, დიაგნოსტიკურ ღონისძიებებს.

1.11.5. დენტალური იმპლანტაციური მომსახურება - ითვალისწინებს იმპლანტატის ჩანერგვას დანაკლისი კბილ(ებ)ის და მათი ფუნქციის აღდგენის მიზნით, თერაპიული და ქირურგიული სტომატოლოგიური მომსახურების ისეთ სერვისებს, რომელთა გაწევაც საჭიროა დენტალური იმპლანტაციის მოსამზადებლად, დიაგნოსტიკურ ღონისძიებებს.

დამატებითი მომსახურებები:

- 1.12. რთული სამედიცინო შემთხვევების მართვა** - ითვალისწინებს ისეთ შემთხვევების კონსილიუმის ადმინისტრირებას, როდესაც საქართველოში დამკვიდრებული სახელმწიფო პროტოკოლების/გაიდლაინების მიხედვით ჩატარებული კლინიკური, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევების საფუძველზე 3-ზე მეტ სპეციალისტს გააჩნიათ განსხვავებული მოსაზრება დიაგნოსტიკასთან და/ან მკურნალობის სქემის შერჩევასთან.
- 1.13. საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურება** - ითვალისწინებს საქართველოს საზღვრებს გარეთ დაზღვეულის მიერ შერჩეულ კლინიკაში გემიურ ჰოსპიტალურ, ონკოლოგიურ, დღის ჰოსპიტალურ, გემიურ ამბულატორიულ (დიაგნოსტიკა და მკურნალობა) მომსახურებას.
- 1.14. საქართველოში აღებული გამოსაკვლევი მასალის საზღვარგარეთ გამოკვლევა:** ითვალისწინებს საქართველოში აღებული გამოსაკვლევი მასალის საზღვარგარეთ გამოკვლევას.
- 1.15. დამატებითი მომსახურება მშობიარობის დროს** - ითვალისწინებს აყვანილი/მოწვეული ექიმის ჰონორარს, კვებას, არასტანდარტულ პალატას (სტანდარტული პალატის მაქსიმუმ ორადგილიანი პალატით გაუმჯობესებას) და სამედიცინო ჩვენების გარეშე გაუტკივარებას. ვრცელდება სადაზღვევო ბარათებით TOP და პრემიუმით დაზღვეულ პირებზე.
- 1.16. ექთნის მომსახურება ბინაზე** - ითვალისწინებს პოსტჰოსპიტალურ პერიოდში, სამედიცინო დაწესებულებიდან გაწერიდან 2 კვირის განმავლობაში, მკურნალი ექიმის მიერ დანიშნული და ექთნის მიერ ბინაზე ჩატარებულ სამკურნალო მანიპულაციებს.
- 1.17. დაზღვევით გაუთვალისწინებელი შემთხვევების ანაზღაურების ფონდი (ვრცელდება თანამშრომლებზე)** - ითვალისწინებს დაზღვეული თანამშრომლისთვის იმ დაავადებების სამედიცინო მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას, რომელიც არ იფარება წინამდებარე დაზღვევის გამონაკლისებით (იხ. "ანაზღაურებას არ ექვემდებარება") წლის განმავლობაში ყველა თანამშრომელზე ჯამურად სადაზღვევო კონტრაქტის ჯამური ღირებულების 2,5%-ის ოდენობით (სულ მცირე 24 000 ლარის ოდენობით), ამასთან ფონდით განსაზღვრულ მოცულობას დაემატება მიმდინარე სადაზღვევო კონტრაქტით გათვალისწინებული გაუხარჯავი „ანაზღაურების ფონდის“ 75%-ი. ანაზღაურება განხორციელდება სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული შესაბამისი სამედიცინო მომსახურების ლიმიტის ფარგლებში. ფონდი არ ითვალისწინებს თანხის გამოყოფას ოჯახის წევრებისთვის, ბარათით განსაზღვრულ დაფარვისა თუ ლიმიტის გაზრდისთვის, იმ სამედიცინო მომსახურების ღირებულების დაფინანსებას, რომელსაც არ ითვალისწინებს სადაზღვევო ბარათი, სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში თანხის ანაზღაურებას, დამზღვევის მიერ ოჯახის წევრისთვის მოთხოვნილი თანხის ანაზღაურებას.

დამატებითი პროდუქტები (ვრცელდება 65 წლამდე თანამშრომლებზე):

- 1.18. სამოგზაურო დაზღვევა** - ითვალისწინებს საზღვარგარეთ მოგზაურობისას გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება „ჯი პი აი ჰოლდინგის“ სამოგზაურო დაზღვევის სტანდარტული პირობების შესაბამისად.
- 1.19. უბედური შემთხვევის დაზღვევა** - ითვალისწინებს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად დაზღვეულის გარდაცვალებისას მოსარგებლისთვის სადაზღვევო თანხის ანაზღაურებას „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის“ უბედური შემთხვევის დაზღვევის სტანდარტული პირობების შესაბამისად.

2. ქმედება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, ანაზღაურებისთვის საჭირო დოკუმენტაცია

ა) ქმედება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

- 2.1. 24/24 ცხელი ხაზი** - ცხელ ხაზსთან დაკავშირების მიზნით დაზღვეული რეკავს 2 505 111, მობილურიდან * 5111
- 2.2. პირადი ექიმი** - პირად ექიმთან ჩაწერის მიზნით დაზღვეული უკავშირდება კომპანიის ან კლინიკის ცხელ ხაზს და გეგმავს ვიზიტს
- 2.3. პროფილაქტიკური გამოკვლევები** - დაზღვეული მიმართავს პირად ექიმს, რომელიც უზრუნველყოფს დაზღვეულს მიმართვით პირადი ექიმის სამსახურის ბაზაზე.
- 2.4. სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახებისას დაზღვეულს შეუძლია ისარგებლოს შემდეგი ოფციებით:** დაზღვეული უფლებამოსილია მიმართოს ნებისმიერ ლიცენზირებულ სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადას.

- დაზღვეული ან სხვა დაინტერესებული პირი უკავშირდება კომპანიის ცხელ ხაზს. ცხელი ხაზის მეშვეობით პროვაიდერ სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადისთვის სადაზღვევო პოლისისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენისას დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან.
- დაზღვეული თავად უკავშირდება სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადას, იხდის მომსახურების თანხას სრულად და შემდეგ ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს.

2.5. ჰოსპიტალიზაცია

2.5.1. გადაუდებელი ჰოსპიტალიზაციისას, უბედური შემთხვევით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციისას - დაზღვეულმა, ან სხვა დაინტერესებულმა პირმა სასურველია (10 დღეზე მეტი მკურნალობის შემთხვევაში შეტყობინება სავალდებულოა) აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კომპანიის ცხელ ხაზს (გარდა ობიექტური გარემოებების გამო შეტყობინების დაგვიანებისა, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტაციით). შეტყობინება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: დაზღვეულის სახელი, გვარი, პოლისის ნომერი, სამედიცინო დაწესებულების დასახელება, სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვის დრო. შეტყობინების გარეშე მიღებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები ანაზღაურდება პროვაიდერი კლინიკების საშუალო ღირებულებით.

- შეტყობინების საფუძველზე მზღვეველი კომპანიის პროვაიდერ კლინიკასთან აწარმოებს პირდაპირ ანგარიშსწორებას, რის საფუძველზეც დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან.
- კომპანიის არაპროვაიდერ კლინიკაში მიმართვისას, აგრეთვე შეტყობინების გარეშე მომსახურების მიღებისას დაზღვეული იხდის მომსახურების თანხას სრულად და შემდეგ ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს. არაპროვაიდერ კლინიკაში მომსახურების ანაზღაურება არ ვრცელდება დამატებით ბარათზე.

2.5.2. გეგმიური ჰოსპიტალიზაციის შესახებ დაზღვეულმა სრულყოფილი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს მზღვეველთან ჰოსპიტალიზაციის თარიღამდე მინიმუმ 3 სამუშაო დღით ადრე; იმ შემთხვევაში, თუ გეგმიური ჰოსპიტალიზაცია წინასწარ არ არის შეთანხმებული მზღვეველთან და წინასწარ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია მომსახურება მზღვეველის მიერ ანაზღაურდება პროვაიდერი კლინიკების საშუალო ღირებულებით.

- კომპანიის პროვაიდერ კლინიკაში მომსახურების მისაღებად მზღვეველი გასცემს საგარანტიო წერილს, რის საფუძველზეც დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან. საგარანტიო წერილის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია: მომსახურების დეტალური განფასება/კალკულაცია და ფორმა #100.
- კომპანიის არაპროვაიდერ კლინიკაში მიმართვისას დაზღვეული იხდის მომსახურების თანხას სრულად და შემდეგ ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს. არაპროვაიდერ კლინიკაში მომსახურების ანაზღაურება არ ვრცელდება დამატებით ბარათზე.

2.6. დღის ჰოსპიტალური მომსახურება - იხ. ქმედება გეგმიური ან გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურების დროს.

2.7. ონკოლოგია - მომსახურების შესახებ დაზღვეულმა სრულყოფილი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს მზღვეველთან მკურნალობამდე მინიმუმ 3 სამუშაო დღით ადრე; იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მომსახურება წინასწარ არ არის შეთანხმებული მზღვეველთან და წინასწარ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია მომსახურება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

- კომპანიის პროვაიდერ კლინიკაში მომსახურების მისაღებად მზღვეველი გასცემს საგარანტიო წერილს, რის საფუძველზეც დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან. საგარანტიო წერილის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია: მომსახურების დეტალური განფასება/კალკულაცია და ფორმა #100.
- კომპანიის არაპროვაიდერ კლინიკაში მიმართვისას დაზღვეული იხდის მომსახურების თანხას სრულად და შემდეგ ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს. არაპროვაიდერ კლინიკაში მომსახურების ანაზღაურება არ ვრცელდება დამატებით ბარათზე.

2.8. ამბულატორიული მომსახურება - დაზღვეული უფლებამოსილია თავად აირჩიოს მომსახურე ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულება.

2.8.1. გეგმიური ამბულატორიული მომსახურება:

- **პირადი ექიმის სამსახურის ბაზაზე:** დაზღვეული მიმართავს კომპანიის, წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მითითებულ, პროვაიდერ კლინიკის პირად ექიმს. პირადი ექიმი უზრუნველყოფს დაზღვეულს საჭირო მიმართვით აღნიშნულ კლინიკაში. პირადი ექიმის მიმართვის, სადაზღვევო ბარათისა და პირადობის დამადასტურებელი

დოკუმენტის წარდგენისას დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან; ანაზღაურებას არ ექვემდებარება პირადი ექიმის მიმართვის გარეშე მიღებული მომსახურების ხარჯები.

- **პირადი ექიმის მიმართვით პროვაიდერ კლინიკებში:** დაზღვეული მიმართავს პირად ექიმს. პირადი ექიმი უზრუნველყოფს დაზღვეულს მიმართვით კომპანიის პროვაიდერ კლინიკებში. პროვაიდერ კლინიკაში დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან სადაზღვევო ბარათის, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და პირადი ექიმის მიმართვის წარდგენის საფუძველზე.
- **პირადი ექიმის მიმართვის გარეშე სამედიცინო (პროვაიდერ (გარდა პირადი ექიმის სამსახურისა) და არაპროვაიდერ) დაწესებულებაში:** მიმართვისას დაზღვეული იხდის შესაბამისი მომსახურების თანხას სრულად და ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს. არაპროვაიდერ კლინიკაში მომსახურების ანაზღაურება არ ვრცელდება დამატებით ბარათზე.

2.8.2. გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება (მათ შორის გადაუდებელი ვაქცინაცია):

- დაზღვეულმა სხვა დანიტერესებულმა პირმა სასურველია აღნიშნულის შესახებ მომსახურების მიღებამდე აცნობებს კომპანიის ცხელ ხაზს. შეტყობინება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: დაზღვეულის სახელი, გვარი, პოლისის ნომერი, სამედიცინო დაწესებულების დასახელება, სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვის დრო.
- მზღვეველი კომპანიის პროვაიდერ კლინიკასთან აწარმოებს პირდაპირ ანგარიშსწორებას, რის საფუძველზეც დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან.
- შეტყობინების გარეშე მომსახურების მიღებისას, აგრეთვე კომპანიის არაპროვაიდერ კლინიკაში მიმართვისას დაზღვეული იხდის მომსახურების თანხას სრულად და შემდეგ ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს.

2.9. მედიკამენტური მკურნალობის შემთხვევაში

- პირადი ექიმი შესაბამის დანიშნულებას გამოწერს კომპანიის ბლანკზე, რითაც პროვაიდერ სააფთიაქო ქსელებში დაზღვეული იხდის გამოწერილი მედიკამენტების ღირებულების მხოლოდ სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებულ წილს. დამატებით ბარათზე.
- ექიმი სპეციალისტის მიერ დანიშნული მედიკამენტების (პირადი ექიმის დანიშნულების გარეშე (პროვაიდერ და არაპროვაიდერ სააფთიაქო ქსელში)) შეძენისას დაზღვეული იხდის შესაბამისი მომსახურების თანხას სრულად და ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს.
- ერთჯერად ანაზღაურებას ექვემდებარება მედიკამენტების არაუმეტეს ერთი თვის მკურნალობისათვის საჭირო ღირებულების ხარჯები.

2.10. ორსულობა/მშობიარობა - დაზღვეული უფლებამოსილია თავად აირჩიოს მომსახურე ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულება.

2.10.1. ორსულობა - იხ. ქმედება გეგმიური ამბულატორიული მომსახურების დროს.

2.10.2. მშობიარობა:

- გეგმიური საკეისრო კვეთის შესახებ დაზღვეულმა სრულყოფილი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს მზღვეველთან გეგმიური საკეისრო კვეთის თარიღამდე მინიმუმ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე; მშობიარობის ან დაუგეგმავი საკეისრო კვეთის შემთხვევაში - სამშობიარო სახლიდან გაწერამდე 1 დღით ადრე.
 - კომპანიის პროვაიდერ კლინიკაში მომსახურების მისაღებად მზღვეველი გასცემს საგარანტიო წერილს, რის საფუძველზეც დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან.
 - საგარანტიო წერილის გარეშე, აგრეთვე კომპანიის არაპროვაიდერ კლინიკაში მიმართვისას დაზღვეული იხდის მომსახურების თანხას სრულად და შემდეგ ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს.

2.11. სტომატოლოგიური მომსახურება

2.11.1. გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება - დაზღვეული უფლებამოსილია მიმართოს ნებისმიერ ლიცენზირებულ სტომატოლოგიურ კლინიკას.

- კომპანიის, წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მითითებულ, პროვაიდერ კლინიკაში მიმართვისას დაზღვეულმა უნდა წარადგინოს სადაზღვევო პოლისი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რის საფუძველზეც დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან.
- კომპანიის არაპროვაიდერ კლინიკაში მიმართვისას დაზღვეული იხდის მომსახურების თანხას სრულად და შემდეგ ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს. აღნიშნული სქემა არ ვრცელდება GPIH-დამატებითი ბარათებით დაზღვეულ პირებზე.

2.11.2. გეგმიური სტომატოლოგიური (თერაპიული და ქირურგიული) მომსახურება

- კომპანიის, წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მითითებულ, პროვაიდერ კლინიკაში მიმართვისას დაზღვეულმა უნდა წარადგინოს სადაზღვევო პოლისი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რის საფუძველზეც დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან.

- კომპანიის არაპროვადერ კლინიკაში მიმართვისას დაზღვეული იხდის მომსახურების თანხას სრულად და შემდეგ ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს. აღნიშნული სქემა არ ვრცელდება GPIH-სტანდარტი, GPIH-ოპტიმალური GPIH-ბაზისური და GPIH-დამატებითი ბარათებით დაზღვეულ პირებზე.

2.11.3. ორთოპედიული/ორთოდონტიული სტომატოლოგიური მომსახურება, დენტალური იმპლანტაცია - დაზღვეული მიმართავს კომპანიის წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მითითებულ პროვადერ კლინიკას. მიმართვისას დაზღვეულმა უნდა წარადგინოს სადაზღვევო პოლისი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. რის საფუძველზეც დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან. მომსახურებებზე, რომელზეც პროვადერი კლინიკა დაზღვეულს არ სთავაზობს ფასდაკლებას, მზღვეველის მიერ ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

2.12. რთული სამედიცინო შემთხვევების მართვა - პირადი ექიმი აფიქსირებს კონსილიუმის ჩატარების საჭიროებას მზღვეველთან, რომელიც ახდენს კონსილიუმის ორგანიზებას სათანადო დარგების წამყვანი სპეციალისტების მონაწილეობით.

